



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N30

2018 წლის 21 თებერვალი
ქ.ქობულეთი

ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს ტერიტორიაზე ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (ფ/პ „რამაზი მიქელაძის“ კუთვნილ ობიექტზე ს/კ 20.43.02.046) 0.22 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად.

2. ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ უზრუნველყოს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).


5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი



ნ.თხილაიშვილი




არსებული 0.4 კვ ხსს დგარი განშტოების წერტილი

არსებული 0.4 კვ 2ც ლითონის დგარი

ობიექტი

ქს ქობულეთი თ.წ.19 ს.ნ 102 091 400 კვა საპროექტო 0.4 კვ სიპ 101 მ

საპროექტო 0.4 კვ 1ც დგარი

			 ENERGO-PRO		
საქართველოს ენერჯეტიკის რეგულირების ავტორიტეტის ქ.თბილისი, დ.ბაგრატიონის ქ.ნაკვეთი N101/01/01/10					
		ქობულეთის რაიონი		სიპ	1
		022 კვ ხსს დგარი		საქართველოს ენერჯეტიკის რეგულირების ავტორიტეტის ქ.თბილისი, დ.ბაგრატიონის ქ.ნაკვეთი N101/01/01/10	
		1:300		2017 წელი	